ა(ა)იპ თვითმმართველი ქალაქ ფოთის საგამოფენო დარბაზი

2023 წელს ჩატარებული ღონისძიებები

2023 წლის 24 იანვარს საგამოფენო დარბაზში გაიმართა მხატვარ ზაურ ცხადაიას საიუბილეო გამოფენა, სახელწოდებით „დაბრუნება“ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 72 ფერწერული ნამუშევარი, გამოფენამ დიდი მოწონება დაიმსახურა და იგი გაგრძელდა 25.02.2023 ჩათვლით.

2023 წლის 2-3 თებერვალს საგამოფენო დარბაზსს სტუმრობდნენ ქ. ფოთის მე_5 საჯარო სკოლის მე_7 კლასის და ქ. ფოთის მე_12 საჯაროი სკოლის მე_9 კლასის მოსწავლეები, რომლებსაც ჩაუტარდათ საგანმანათლებლო პროგრამა „ ხელოვნება და ფერწერა“. მოსწავლეები გაეცნენ საგამოფენო დარბაზის მუშაობის პრინციპს, შეითავსეს გიდობა და ანალიზი გაუკეთეს ნამუშევრებს.

2023 წლის 8 - 15 თებერვალს საგამოფენო დარბაზში გაიმართა ფოთის არტ-რეზიდენციის პროგრამა, მომიტანე ჰორიზონტი, (ქართულ-სომხური პროექტი), სადაც მონაწილეობა მიიღო ფოთის შვიდმა მხატვარმა და სამხატვრო სკოლის ფოტო ხელოვნების ჯგუფმა, ასევე 10 მოწვეული სტუმარი.გ.გიორგობიანი,მ. აბრამიშვილი, თ. გიორგაძე, ა. გიორგაძე, თ. ბურკი, მ. როგავა, გ. წიქარაშვილი, გ. აბუაშვილი, ს. პოვასინისიანი, ნ. ბურდული.

2023 წლის 7 მარტს საგფამოფენო დარბაზში გაიმართა შეხვედერა _ შეხვედრის მიზანი: ქ.ფოთში არსებული მომსახურების (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) შესახებ ინფორმაციის მიწოდება მოსწავლეებისთვის გარდა ამისა, საგამოფენო დარბაზში გაიმართა მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა თემაზე „ ქ.ფოთი და გაზაფხული“ . მოეწყო ფოტო გამოფენა ქ. ფოთის თემატიკაზე.

2023 წლის 16 სექტემბერს საგამოფენო დარბაზში გამოიფინა ფოთელი და ბათუმელი მხატვრების მიერ შექმნილი ტილოები ფოთის თემატიკაზე, რომელიც მიეძღვნა ნიკო ნიკოლაძის 180 წლის იუბილეს. გამოფენა გაიხსნა 16 სექტრმბერს და გაგრძელდა 2 კვირის განმავლობაში

2023 წლის 17 ოქტომბერს ქ.ფოთის საგამოფენო დარბაზში ნორჩი თვითნასწავლი მხატვრის რუსუდან მელიშიანის პერსონალური გამოფენა გაიმართა.

წარმოდგენილი ნამუშევრები შესრულებულია სხვადასხვა თემაზე.

2023 წლის 14 ნოემბერს ფოთის საგამოფენო დარბაზმა ფოთელ შემოქმედ მოსწავლეებს უმასპინძლა.

გამოფენაში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა სკოლის 75-მდე მოსწავლემ. წარმოდგენილი იყო 250-მდე ნამუშევარი, შესრულებული გრაფიკასა თუ ფერწერაში. მონაწილე ბავშვებისთვის ჩატარდა სახალისო ვიქტორინა, გამარჯვებული ბავშვები დაჯილდოვდნენ საჩუქრებით. აღნიშნულმა გამოფენამ დამთვალიერებელთა დადებითი შეფასება დაიმსახურა.